საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 194 2025 წლის 31 იანვარი ქ. თბილისი

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს კახეთის სატყეო სამსახურის სიღნაღის, დედოფლისწყაროს, ქედისა და გედიქის სატყეო უბნებში მდებარე საერთო ფართობით – 3239 კვ/მ ტერიტორიისთვის ტყის სტატუსის შეწყვეტის (კორექტირების) შესახებ

1. „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის №496 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს კახეთის სატყეო სამსახურის სიღნაღის, დედოფლისწყაროს, ქედისა და გედიქის სატყეო უბნებში მდებარე საერთო ფართობით – 3239 კვ/მ ტერიტორიას შეუწყდეს სახელმწიფო ტყის სტატუსი.

2. საქართველოს ტყის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაგზავნილი დოკუმენტაციის (მ. შ., ტერიტორიის ელექტრონული

ვერსიის) საფუძველზე, ამ განკარგულების პირველი პუნქტის გათვალისწინებით, უზრუნველყოს ტყის საზღვრის კორექტირება.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე